ფასი 5 კაპ.

კვირა, 24 ივნისი 1912 წ.

# მათრახი

იუმორისტული ჟურნალი.

№ 2

ჟურნალზე ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება.
წერილები გამოიგზავნება: შრომის სტამბაში, ირეთელს.



სიმფონიური საღამო „ახალ კლუბში“. ჰრესმანის ექსტაზი.

## საქართველოს სიმღერები.

I

წარსული დროთა მოციქული
დღეს აწმყოში გადმოფრინდა,
მან გასცვალა ფულზე სული,—
ახალ ქონით გაიწმინდა.
შეიცვალა ქვეყნის ბედი,
დატრიალდა ხალხში ცოდვა,
ძლევის დროშას ფლობს თავხედი,—
ერს წახდენის ჭორი მოდვა.
პაპათ ხმალსა მრუდეთ ხმარობს,
დაგმო წმინდა სამართალი,
ხალხი კვნესის... მტერი ხარობს,—
დაუღამა ყველას თვალი;
და წინაპართ სათნოებას
ზედ დააჩნდა ზიზღის კვალი...
—აი, როგორ გაიფურჩქნა
პატრიოტთა მომავალი!

II

უწმინდესი სამლოცველო
ბევრისათვის გახდა—პური,
და თავისა დასაცავათ:.
ეროვნული მტრობა-შური!
თუ სამშობლოს რამე-რუმეს,
წახდენის დროს მოკრეს ყური,
აყვირდება პატრიოტი,
იმეორებს როგორც ჭური...
(აი, ამ დროს ურქენს კუჭი,
თვალთ წინ უძევს ხაჭაპური,
სუკის მწვადი სურნელს უკმევს
და გოგრაში სცემს კახური).
წინ მივდივართ, მა რა არი?..
და თუ ვინმე მზეს დაეძებს,
—ჰკათ მამულის დამღუპველთა,
დაუკეტეთ კარი ბეცებს!

III

ვინც გაიცნო ეგ სოფელი,
ის სხვებსავით არ გახუნდა,
შეურია სკაში ხელი,
გამოძღა და...გადაბრუნდა.
რაც მსოფლიოს ენატრება,
მამულიშვილს ის რათ უნდა?
—აგერ, მოდის დემოკრატი,
—მიაყარეთ ქვა და გუნდა!
ვისაც აგრე უყვარს თავი
და სამშობლოს აძევს ვალი,
რომ გახადოთ იმას ტყავი,
არ ექნება რწმენის ძვალი.

მაგრამ იგი არი ბრძენი,
ერჩის ქკუა, უჩრის თვალი...
— მოუხადეთ ყველამ ქუდი,
დაულოცეთ — „ვერცხლის ნალი“!.

**ნ. ჩხიკვაძე.**

## ახალი ამბები.

**სალიტერატურო დილა.** დღეს 24 ივნისს, დილის 5 საათზე ერევნის მოედანზე გაიმართება საინტერესო სალიტერატურო დილა. დილას მართავს ახალგაზდა ქალი (არც იმდენათ) რომელსაც უტყუარი ნიშნები გამოაჩნდა, რომ... გათხოვება სურს და ფულები კი აკლია. მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის გამგეობის ყველა პოეტ-მწერლები, „ცნობილი კაკა“, დ. პავლიაშვილი და მრავალნი სხვანი.

**დუელი.** ხვალ 25 ივნისს აუარებელი ხალხის თანდასწრებით მოხდება საზარელი დუელი რადიკესა და მალალაშვილის შორის, რადგან პირველათ ერთმანეთს ვერაფერი ავნეს. დუელისტები დადგებიან — ერთი ქალაქის თვითმმართველობის შენობის სახურავზე და მეორე თამამშევის ქარვასლის. სეკუნდანტები მამადავითის და მახათის გორებიდან ადევნებენ თვალ-ყურს. ბრძოლა მოხდება ზარბაზნებით.

**გაზეთების დახურვა.** ერთი დღით დაიხურა „სახალხო გაზეთი“, „ზაკ. რეჩი“, „ზაკავკ.“, „თფილის. ფურცელი“ და სხვანი. დახურულ გაზეთების განახლება სამშაბათ დილიდან დაიწყება. დახურვის მიზეზი ის არის, რომ ყველა გაზეთებმა ფრიად მწვავე წერილები მოათავსეს, როგორც მაგალითად „მატარებლების მიმოსვლა“, „ექ. ნავასარდიანცის განცხადება და სხვა.

**უბედური შემთხვევა.** ორშაბათს, 20 ივნისს „ახალ კლუბში“ იაფ ლოტოზე გული შეუწუხდა 80 წლის მოხუც დედაკაცს დარეჯან ჯანჯღუხაშვილს. მამასახლისებმა ბევრი ოფლი დაღვარეს, მაგრამ გონს ვერ მოიყვანეს და მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. მორიგ მამასახლისმა გ. გვაზავამ ამ შემთხვევის გამო იქვე ლექსი დასწერა.

**ნახევრად დამხრჩვალი.** გუშინ დილის 5 საათზე ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა ვიღაც კაცი. პოლიციელებმა დროზე შენიშნეს და გადაარჩინეს, თუმცა ნახევრათ უკვე დამხრჩვალიყო. ის აღმოჩნდა მოხისელი თავადი ზურაბ თეფშიტლაკიაშვილი. ის პირველათ ჩამოსულა თფილისში და „ახალ კლუბიდან“ წამოსულა ბაქარის შემდეგ.

**ექსკურსია.** დღეს თფილისში ჩამოვიდა 24 ბრმა, 24 კოჭლი, 24 ბრუციანი და მახინჯი მოსწავლენი. ზვენიგოროდის საქალებო გემნაზიისა. უნდა დაათვალიერონ მთელი კავკასია.



## გურული სცენა.

—

„ოზურგეთიდან გიახელ
ვახტანგი და კნიაზ ჯაბა“
არ იფიქრო ძმავ გამაბრიყვო და მათქმიო:
„წინ ერთი ქალი შემოგვხდა,
კოხტა იყო შავ-თვალ-წარბა“

ჩიჩი! ვერ მოგართვი პატრიჟანი! (ღამე იყო ვერ გიცანი!) მასე კი არა ასე იყო:

„წინ ერთი სტრაჟა შემოგვხდა
ზობრა იყო შავ-თვალ-წაბრა“.

— ნეტაი შენ გუნებას ერთის მეტი თვარ იყო რაღა გიჭირს.

— ნეტაი დასტურ მასე იყოს შენი ქრისტეს მადლით — ერთზე დადგებოდეს მათი გვარი და გუჯაბი მეტი რაღა გვინდა, ერთი კი არა ზობრა — და წაბრა ას ერთიც კი იქნება მარა ერთი ისთე, ლექსის ძალით გითხარი.

— რავა ფიქრობ ბიჭო, კიდევ დიდხანს იქნებიან თუ იცი?

— მაგი რომ ვიცოდე ჩემო ძამიავ როის გამეიდარებს, ცაი როის მეიწმენდს და როის მეიკირკაჟებს მეტი რა მინდოდა მისანი ვიქნებოდი — ისე აგი კარგათ იცოდე გადაწმენდილში მაგინს ერთს ვერ დეინახავ აქანაი — ისე ხომ იცი ბნელი ღამევის უყვარს — როიცხა გამეიდარებს, მათი დასაფსებელი თვალებით ხომ დეინახვენ რომ არც ერთი ხის ძირში დასასვენებელი ადგილი არ ექნებათ მაშინ კი მონახვენ თავიანთ „ყუდეს“.

— მარა ვაი თუ მანამდე...

— რაიო? რაიო?!

— რაი და თოხი კუთხეში აყუდეს.

**ლეხ—ელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ფეხი.

(მეგობრული მიბაძვა)

წიხლს ნუ ჩამცემ შენის ფეხით, ოქროს ფეხით, ოქროს ფეხით,
მაგას ვკოცნი, თუნდაც იყოს დაფარული ბლომა ნეხვით;
მაგას ვკოცნი კოცნის კოცნით, არ გეგონოთ მხოლოდ კვეხნით.

—

ფეხი, ფეხი! არის მეხი, სიმბოლოდგან მონატეხი!
რას მიქვია ბეთხოვენი, რას მიქვია ცხენის კეხი!
„რა ვქნა?! მკერდ ქვეშ გულის ნაცვლად მისვენია შენი ფეხი“.
ფეხი არის ჩემი ღმერთი, ღრმა სიმაღლეს გადამჩეხი.

—

ფეხსა ვლოკავ, ფეხსა ვწუწნი, ფეხი არის სალამური,
ფეხსა ღვიძლში ვენაცვალე, სიმბოლოა ფეხის ყური,
საკოცნელი სიმბოლოა და საჩქმეტად საამური.

—

ღმერთი... ქოლგა და ოცნება შევსვი, ვყლურწე ფეხის მტვერი;
კოცნით ვსუნთქე ის ტალახი, შენ რომ ფეხით ამოსჭერი.

* *
*

დავამსხვრიე ჩემი ცრემლი ნაღვენთურად მონაწური,
და დავლვარე შუშა ხმელი და დავლვარე ვითა პური,
ეხ, მკითხველო, შენ რა გესმის, თუ რა არის ჰანგი რკოსი?
ფეხი არის ყველაფერი, სიმბოლოდან სიმბოლოსი;
იმედი მაქვს, რომ შემაქებს წმინდა ფეხის კრიტიკოსი,
რატომ სატრფოს ვერ ვუყიდე ერთი წყვილი ფეხსამოსი?!

—

მარუსია, ანუსია! თავს გავიტეხ შენის ფეხით:
როს ავლოკავ, არ იქნება დაფარული ბლომა ნეხვით;
ვა! ირწმუნე, ფეხი, რაღა! მე არ ვამბობ ამას კვეხნით!

* *
*

რა ტკბილია ფეხის მტვერი, რა კარგია ჰკუის მეხი:
გრიშაშვილსა ლექსი ვბაძე, ფსევდონიმათ მაქვს მეც —

ფეხი.

---

## საიდუმლო ბარათი.

—

დაო სალომე! კარგა ხანია შენი არაფერი მსმენია. არ ვიცი რას მივაწერო შენი სიჩუმე. განა მეგობრობა ასეთი უნდა? თუ ისე გაგიტაცა ცხოვრებამ, რომ ყველა ნაცნობ-მეგობრები დაგავიწყდა, არც ეს გამიკვირდება, რადგან ეს ერთი ხანია სრულიად დავკარგე რწმენა ადამიანებზე. ერთად ერთ მეგობრათ მხოლოდ შენ გიგულებდი. მართალია ეხლა ზაფხული დადგა სტუდენტები ჩამოვიდენ და კარგ დროს ტარებაში იქნები, მაგრამ არც ასეთ დროს უნდა დაივიწყო მეგობარი. რამდენი ხანია მინდოდა მომეწერა ჩემი ამბავი, მაგრამ ადრესი არ ვიცოდი, ეხლა შემთხვევით გავიგე და ვისწრაფვი ყველაფერი გაცნობო. რომ იცოდე, ჩემო სალომე, რამდენი რა გადამხდა იმ ხნის განმავლობაში რაც ჩვენ დავშორდით ერთმანეთს? სულ რაღაც ორი თვე იქნება რაც შენ სოფელში წახვედი და მე ქალაქში დავრჩი, მაგრამ ეს ერთი თვე თითქმის წელიწადებს უდრის თავის შინაარსით. დადგა თუ არა მაისი რკინის გზის სადგურს არ მოვშორებივარ, ხომ იცი ექსკურსიები იწყება ამ დროს და სტუდენტები მოდიან. რომ იცოდე რა დრო გავატარე? რამდენი ლამაზი სტუდენტები გავიცან?! ყველაზე მეტათ მომეწონა სტუდ. დომენტი ჩურჩუტაძე. რა ლამაზია, რა კოხტა, რა მშვენიერი თვალები აქვს? მაღალი, თეთრი, ჭროლა თვალებიანი. ისე კოხტათ ადგია მუნდირი, რომ ნამდვილ აფიცრებს ჰგავს. მერე სიტყვა პასუხს და ზრდილობას არ იკითხავ? ოჰ! რამდენი ანეგდოტები იცის, თუ გინდა, რომ მუდამ იცინოდე ყური უნდა უგდო მის ანეგდოტებს. პირველ გაცნობისათანავე იმანაც რაღაც სხვაფრივ დამიწყო ყურება. ალბათ მეც მოვახდინე მაზე

შთაბეჭდილება. თუმცა ქუთაისისკენ მიდიოდა, მაგრამ ალბათ ჩემი გულისთვის დარჩა თფილისში. მეორე დღეს დილა ადრიან გოლოვინის პროსპექტზე შევხვდით ერთმანეთს და საღამომდე შეუსვენებლათ დავდიოდით, არც გვისვამს და არც გვიჭამია. ისე ახლოს გავეცანით ერთმანეთს რომ შენობით დავიწყეთ ლაპარაკი. აი სწორეთ ის ვისაც ეძებდა ჩემი გული. შემიყვარდა, პირველათ ვიგრძენ ის რასაც სიყვარულს ეძახიან. მთელი ღამე არ მძინებია, სულ ის მედგა თვალ წინ გათენდა თუ არა მეორე დღეს გოლოვინის პროსპექტისკენ გამოვექანე და ისიც დანიშნულ ალაგას დამხვდა. გადაწყვეტილი გვქონდა ბოტანიკურ ბაღში წასვლა, წავედით. რადგან ადრე იყო, ხალხი სულ ცოტა იყო. დავიწყეთ ხეივანში სეირნობა. დომენტიმ სიტყვა სიყვარულზე ჩამომიგდო, გულმა ძგერა დამიწყო, შევხედე და გავწითლდი. ნელა ხელი მომხვია გადამიწია კისერი და გაგიჟებით კოცნა დამიწყო, მე თითქოს დავიბნიდე, თავბრუ დამესხა, წარმოუდგენელი ნეტარება ვიგრძენ. კოცნა ხომ სირცხვილი არ არის, მით უმეტეს როცა ისეთ კაცს ჰკოცნი, რომელიც მოგწონს? ისე გავთამამდით, რომ თითქმის მთელი დღე ტუჩი ტუჩზე არ მოგვიშორებია, დავითვერით სიყვარულით. დომენტი მეფიცებოდა სამუდამო სიყვარულს და მეც სიამოვნებით ვუსმენდი. ჩვენისთანა ბედნიერი ამ დღეს არავინ იყო. დომენტიმ მოინდომა უბეში ხელის ჩაყოფა, მაგრამ ეს კი არ დავანებე. ხომ იცი ჩვენ ორივე ამ აზრის ვიყავით, რომ ზნეობის წინააღმდეგი არ არის თუ გათხოვებამდი ვინმე გაგვიტაცებს და გამოვსცდით ნეტარებას. სანამ დროა უნდა ვიგრძნოთ ყველაფერი, თორემ როცა გავთხოვდებით. მერე სულ ჩაგვყლაპავს ოჯახი და ქმარის ეჭვიანობაც სიცოცხლეს მოგვიწამლავს. იმ ღამეს თერთმეტ საათზე დავბრუნდი. ტუჩები საშინლათ მტკიოდა, თანაც დაღლილობას ვგრძნობდი. მთელი ღამე მკვდარივით მეძინა. გათენდა თუ არა მაშინვე ბოტანიკურ ბაღისკენ გავექანე. ჩემი დომენტი კარებში მიცდიდა დამინახა თუ არა მომვარდა გადამეხვია და გაგიჟებით დამიწყო კოცნა. ამ დღეს თითქოს შევეჩვიეთ ერთმანეთს, აღარც გავწითლებულვარ, უბეშიც თამამათ ჩამიყო ხელი, მთელი დღე კოცნაში გავატარეთ. როცა შეღამდა დავაპირე წამოსვლა, მაგრამ არ გამომიშვა. დავსხედით მწვანეზე. ახლომახლო ჩვენს გარდა არავინ იყო. დომენტი ისე მეკვროდა თითქოს სურდა გულში ჩაძრომა. მისმა სიყვარულმა დამათრო, თავბრუ დამასხა..... ორი დღეა რაც ლოგინიდან ავდექი. ისევ იმ ბებია ქალმა მიშველა, რომელმაც შენ. განა დიდი ცოდვა ჩავიდინე? მე მგონია არაფერი. მოხდა ის რაც ყველას თავზე ხდება, სამაგიეროთ ვიგრძენ ნამდვილი ნეტარება. ცხოვრებაც ეს არის. ეხლა ბაკურიანში, ან წაღვერში წავალ, და ამ ორ თვეს იქ საუცხოვოთ გავატარებ, იქ უფრო თავისუფლათ შემიძლია დავეწაფო სიცოცხლის ნექტარს, დომენტიც შემპირდა წამოსვლას, მსგრამ არ ვიცი იქნება თუ არა მარა სულ ერთია ის არ იქნება სხვა იქნება. შენ უსათუოთ უნდა წამოხვიდე, ხარჯს ნუ შეგეშინდება იაფათ გამოვალთ. მომწერე ყველაფერი შენ ამბავი. მარად შენი სოფიო.

**ნინო.**



### სალამი მათრახს.

—

მოგესალმები მათრახო  
ნაკურთხო **ეშმაკისაო,**  
მესტვირულ გშვენის რაჭული  
ბაბაყულ **ბლიკვაძისაო.**  
ერთ დროს **კენტიცა** გწყალობდა  
ეხლა სოროში ზისაო,  
შარადას **კოლო** ბზუკუნებს  
და **ონისიმე** ხსნისაო.  
**ტლინკაძემ** ტლინკებს უმატა,  
**შხანკოლა** ჰინჰარს კრეფსაო,  
**პიტნამაც** ჩააპიტინოს  
ნუ გადაჰყვება სკებსაო!..  
მო ჯოჯოხეთის შვილებო  
მათრახი ვიგდოთ ხელსაო,  
ზურგი აუწვათ „მეგობრებს"  
ეძებდნენ სორო-ხვრელსაო.

**ხუტუა.**

---

### ოთარაის წერილი ქალაქში.

(ნასწავლ ხალხისადმი)

ჩემო სასახელო და არაფერათ სასარგებლო ბიძიებო და ბაბუებო, რომ მოგიხსენწავენ თავი ყველაყას იქონიე და ხუნტრუცობით ერთი კაცო ვინმეს გაგიდიტონოს თავში და იკითხეთ ტუულათაი მაინც სოფელების ამბავი რას ვშობით, მოვკვდით მოვრჩით, წყალმა წაგვიღო თუ ქარმა. მამაჩემი პასუხაი არ წამიწყდეს ამიზა თქვენი ნასწავლობა არაკაცმა მოგალდიტონ, ვთქვათ თუგინდა ქალაქში დაბადებულებს რა გენაღვლებით და აგი ჩვენი გერიის ძირში გამოჭყენტილი და ნაცრიანი გვერით გამოზრდილებს რომ არ გენაღვლებოდენ ამას არც ღმერთი მოგიტავებენ და კაცი. რეი'სა არ გახსოვლარიან წიგადამწვარი მამათქვენი რომ ზრუგით, კალთაით, უბით რომ გიზიდავდნენ ხეფს კლასში და გიჩიტავდენ პირში, ასე

გენისცეცხლათ და თანკარათ გამოგზარდეთ, სულზედ მოსასწრებლათ გიყურებდით, გეიზარდეთ დაკაცდით პეტ-რებურღიანს და ჩაქვიანს შეითარეშეთ ყოლიფერი, ამისანაი განათლდით და ჩვენ კი აგი დაგვისწავლეთ, შეგვაბრუნეთ ზრუგი და თვალის დასანახავათ დაგვეკარგეთ. გაციმბი-რება თუ გინდოდათ ამიზა საცხა კეფხუთის რას მიხვი-დოდით ჩვენი სისონა დარჩია გასწავლიდათ. თქვენ თი-რამას იძახით და ჩვენ ცოდვიანმა რომ შეგვჭამოს უი მაო არ იტყვით. იგი არა და იგიც კი თქვენ ერთს თქვენისთანას ქუთაისში დედ-მამა სტუმრებია და თურმე მის სახლში არ შეუშვია, რაი და მეცხვენიაო სოფლის კაცის შვილობაო, თი ამისთანა შვილებს გაგიჩთა გადუ-ურჩენელი ფეშვინვა, ჩვენი უკადრისი კადიარა ჯარხანაში. ჩვენ ჩვენ ვართ და თურმე ასში ერთი იქნეიც ბეურს აფერს აკეთებთ, ზოგი მარტუაი სუდიობთ, ზოგი ადუ-კანტობთ და რა ვიცი თქვენი ბენდელაი, არა მარტუაი ხეფსიზა საცხა რას მილ როკინობდით, მოსულიყავით და კიდო ათას ოხერს თუ ვარჩენთ თქვენც არ დაგვმადლი-დით ჭადს და ლობიას, არა მამაის ცხონებამ ჯობია მოით აზრზე და ერთიცახე ჩვენსკენაც მეიხედეთ ჩვენც კაცები ვართ. სოფლელები რომ ვართ იმიზა და კიდო თქვენდა ჭირისუფლათ თუ სასირცხვო ვართ დასუჩ გაგვისკდა მიწა. ხო ერიცახე ჩვენსკენც გამეიხედეთ მეთქი, იგი რაცხა ტრიატებია იქნეა რომ გაქვენ ჩვენსასაც მეიტა-ნეთ, გაზეთების საქმეზეც მოგვეხმარეთ, გაჭრებმა რომ გაგვატყავა რაცხა იმის წამალიაო კოპერატი ქვია მგონია ნურც იგი დაგავიწყდებიან, რაცხა ლექციებიაო არც იგი გვაწყენს რომ აქანაი წეიკითხოთ, აქანა მართალია ზუბა-ლაის სახლი არ გვაქვს, მარა მიწის სახლი კი იმისთა-ნაი მაქ რომე ლაფშა გაჭენდება შით, სულ ცხონებული ახალთაობის დროს მთელი სოფელი მისი პრაპაგანდის-ტიანათ ქარაფვათ ვეტეოდით. ჩემო ბატონო შენ ხარ და ერთი ორი-სამი ჭვირთი სასინჯავათ რაცხა მიწის იარა-ღიათ იგიც გამოგვიძღვანიე, კიდო კაი კაკალი თუ რამე ბებუღებიან იგიც ნუ დაგავიწყდებიან, ფულზე თუა საქმე რაცხას ქე იმასვიზამთ. პო და მაგიორში თქვენ თუ მო-გვეთბობით ჩვენც მოგეთბობით თვარა ღმერთს დუჯე-რეთ უზვეროთ ვერც თქვენ ივარგებით ტყულათაი ერთ ნახევარ წელიწადს რომ გაგეფიცოთ და ჩვენი ნამუშიერი არ გამოგიგზავნოთ ძაღლები დაგძიძგნიან, გველთებზა-სავით დაღაბავთ პირს, ხო ასე თვარა, გეიხსენეთ ერთი გზობა ჩვენც საჭირო კაცები ვიყავით რეიზა დაგავიწყ-დენ რომ ჩამეირბენდით ქუდმოგლეჯილი, შეკოკორინდე-ბოდით სტოლზე და ერთმანეთს გლეჯდით — სოფლის გლეხები არა ჩემი ამხანაგიაო და არა ჩემიო. ჯვარი აქა-ნაი და ოქროს საყვირი და რომ დაბრუნდეს კიდო იგი სულ ცხონებული ახალთაობა კიდო საჭირო შეიქნება იგი გოგიეი და გაბილაი და მაშვინ კი ვინცხა იმონით სა-ჯიქიოზე. მაგიორ წერილს თუ გამომიგზავნით კას იზამთ. ბწერს თქვენი მეჭვირთე და გამომზრდელი ოთარაი ტუაგ გასშპარიძე.

შხანკოლა.




# ორი ეშმაკი.

**პირვ. ეშმაკი.** სალამი!

**მეორე ეშმაკი.** (ქაქანით) გაგიმარჯოს! უჰ!

**პირვ.** რა ამბავია? რა გემართება?

**მეორე.** ცხელა! ცხელა!

**პირვ.** თუ გცხელა საავარაკოთ ვერ წახვედი?

**მეორე.** კაი შენ მოგივიდეს კაი საავარაკოთ მე მეცალოს?

**პირვ.** განა რა ცალები გკიდია?

**მეორე.** იჰ! შენ რა გითხრა? განა ასე აბუჩად აგდება შეიძლება საზოგადო მოღვაწის? მომკლა საზოგადო მოღვაწეობამ.

**პირვ.** რა გააკეთე? შენი გაკეთებული ჯერ არაფერი მინახავს და ასე ადრე კვდები?

**მეორე.** სამასხროთ შენი თავი აიგდე განა სად იყავი ვერ დაინახე ამ ერთი თვის განმავლობაში რამდენი კრება გავმართე და რამდენი საპნის ბურთი გავაკეთეთ?

**პირვ.** კრებებმა აგვაშენა!

**მეორე.** აგვაშენა თუ დაგვაშენა, მე კი მომკლა და. სწორეთ დაწყევლილი თვეებია ეს მაისი და ივნისი. აგერ თავად-აზნაურთა კრებას მოვრჩი, აგერ წერა-კითხვის საზოგადოების კრებაც გავათავე სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგე-ნების მმართველ წრესაც ავუგე ანდერძი და ეხლა ქართული დრამატიული საზოგადოების კრება და-მრჩა და ისიც დაღლილობის გამო ენკენისთვისთ-ვის გადავსდე.

**პირვ.** მართლა ქართული წარმოდგ. მმართველ წრეს რა უყავი? როგორ თუ ანდერძი აუგე?

**მეორე.** ისე, რომ როგორც იქნა გავმართე კრება, გავწმინდ-გამოვწმინდე გამგეობის სადგომი და მორჩა. ეხლა რაც უნდა ისა ქნან.

**პირვ.** ისე კარგათ თუ წაიყვანეს საქმე, როგორც ამდენ ხანს კიდევ არა უშავს რა. ხმა დადის ალ. წუწუნავას ქართულ თეატრში იწვევენ ფლავზეო: მართალია?

**მეორე.** სრული ჭეშმარიტებაა. მართალია საზოგადო მოღვაწეობა კარგი საქმეა, მაგრამ ფლავიც კარგი საქონელია. განა მარტო ალიოშამ რათ უნდა აილოს „შვიდეული“? დეე ეხლა სხვებმაც ჭამონ.

**პირვ.** ის უთუოთ სახალხო სახლში უნდა დარჩეს.

**მეორე.** დარჩეს რომელია, ძველი ხურჯინი ხომ არ არის? თუ საჭმელ სასმელს და ჩაცმა დახურვას გადააჩვევენ მეორე დარჩება.

**პირვ.** სამწუხაროა. რა გაეწყობა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრებას ენკენისთვემდი არ აპირებ?

**მეორე.** არა.

**პირვ.** მაშ, როგორ? მანამდე არაფერი არ უნდა გააკეთოთ?

**მეორე.** როგორ თუ არ უნდა გავაკეთოთ? უკვე სამზადისს შევუდექით, დასს ვადგენთ, გვინდა ყველა საუკეთესო მსახიობთ აქ მოვუყაროთ თავი.

**პირვ.** ძლიერ სასიამოვნოა.

**მეორე.** პრემია გამოვაცხადეთ.

**პირვ.** რა?

**მეორე.** პრემია.

**პირვ.** რის პრემია?

**მეორე.** ვინმემ უნდა დასწეროს საუკეთესო კომედია ან ოთხ ან სამ მოქმედებიანი პირველი მიიღებს 200 მ. ხოლო მეორე 100 მ. პიესები კი ჩვენი საკუთრება გახდება.

**პირვ.** მეტის მეტათ სასიამოვნოა, მაგრამ ეგ ხომ ის იქნება რომ პიესას იყიდით, რაღა პრემიას აცხადებთ ადვქით და გამოაცხადეთ „ვყიდულობთ საუკეთესო პიესას, შეგვიძლია ამდენი გავიღოთ ფასად და სხვა“. ერთ ორჯერ რომ „თბილისის ფურცელში“ გაუშვათ განცხადება მეტი არ გინდათ აუარებელ პიესებს მიიღებთ.

**მეორე.** აბა რას ამბობ? ჩვენ გვინდა ამით წავაქეზოთ ჩვენი მწერლები, პრემიის დანიშვნით ჩვენ პიესასაც შევიძენთ და მწერალსაც.

**პირვ.** შორს რაღათ მიდიხარ, დასწერე თიაონ შენ და პრემიაც შენ დაინიშნე, ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდეს.

**მეორე.** ეჰ!.. შენ დღეს მხიარულ გუნებაზე ხარ. მე არა მცალიან. მშვიდობით! კიდევ მალე შევხვდებით ერთმანეთს.

**პირვ.** მშვიდობით!



დ ე პ ე შ ე ბ ი.

(გურიის სააგენტო).

**ოზურგეთი.** „მათრახის“ გამოსვლა—ქალაქის ბურგომისტრს პლატონს მაშინ შეუმცხადეს, როცა ის სამათრახოდ ყველაფრით მზათ იყო, ესე იგი როცა მიულერის საშვალებით ტანთ გაძარცული დილის ნამაზს ლებულობდა—შიშისაგან თავში დავლა დასცემია, მაგრამ რაკი დავლას იქ საკბილო ვერაფერი უნახავს საარჩევნო ცენზი ჩაუშავებია.

გოზლიკ.

—

**შემოქმედი.** მთავ. მამასახლისმა მაჭავარიანმა ერკეთში სახელმწიფო ფულები ჩაიმასქნა—მოსანანიებლათ (თუ მოსანელებლათ!) აქ გადმოგზავნეს—აქედან „სადაკლადოთ“ ქუთაისში მიქიაშვილთან იგზავნება.

წვერა.

—

**ნიგოითი.** გამეხარდა ტკბილი ხმა
,,მათრახი და მათრახი'',
ვიცი ბევრი მომხდება,
არ დამზოგონ ახმახი.

დიდი კირიელეისონ.

—

**დვაბზუ.** გვეგონა გაცვლა-გამოცვლა ერთი მეორეში გაქვითდებოდა, მაგრამ იმოდენა გასათავი მოგვთხოვეს ლამის არის გაგვათავონ.

კოჭლი.

—

**ხიდისთავი.** (გურიის) მას შემდეგ რაც ნეტარ ხსენებულმა ბოქაულმა ივანსუკმა ბაზრის ქუჩა შეაკეთა ყოველ-კვირაობით დილიდან-შვალამემდე იმართება ქალ-ვაჟების დოლი (მარულა). პრიზებს ,,ხანუმ'' ქალი იღებს.

მადალი.

—

**ლანჩხუთი.** ექვთიმე ფერშალმა ყოველგვარი და ყოველ-ჯური მამა.....(დამახინჯებულია) მონოპოლია აიღო.

ჟანგიანი ნუშტარი.

## მოწერილი ამბები.

### (პროვინცია)

**დ. სამტრედია.** კვირას 10 ივნისს დ სამტრედიის ბაზრის ეკკლესიაში დიდებული წირვა გადაიხადეს. წირვის შემდეგ მღვდლათ აკურთხეს ბაზრის დეპუტატი დ. კვანტალიანი. ჯამაგირათ დაენიშნა 729 მ. დეპუტატობისათვის დადი მადლობა გადაუხადეს და საჩუქარიც მიართვეს.

—

**ხონი.** სახელდახელოთ ჯერ მეტს ვერ გწერთ. აქაურმა ინტელიგენციამ, როგორც იქნა, გახსნა კლუბი და ჩაინთქა შიგ, ისე დაეწაფენ, როგორც წურბელა სისხლს. არ გეგონოთ, რომ ჩვენი კლუბი თქვენ „ახალ კლუბს“ ჩამოუარდებოდეს. ვიცოცხლოთ და ვნახოთ რა იქნება. ამ რამდენიმე ხნის წინად წ. კ. ს. წიგნის მაღაზიასა და სამკითხველოში რაღაც „ნედორაზუმენიე“ მოხდა და ორივე ერთათ მიაკეტეს. ერთი კვირის შემდეგ „ნედორაზუმენიე“ გამოირკვა და ისევ გააღეს რა იყო, რა მოხდა ჯერ? არავინ იცის. საჩქაროთ მოვივლი გუბს, კუხს, ნაღალევს, მათხოჯ-ჯიხაიში და რაც ამბები იქნება სულ ერთათ მოვიწერები.

პროლეტარი ქმაკი.

—

**ჭიათურა.** შავი ქვის დამტვირთავ მუშებს განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში თავიანთ ადგილების „რასპროდაჟა“ (იაფი ვაჭრობა) გამოაცხადონ. ეს დიდებული აზრი პირველად პირველ არტელის მუშათა ნაწილს მოუვიდა თავში.

— აქაურმა მიკიტნებმა გადასწყვიტეს კვირაუქმე დღეებში დუქნები დაკეტონ, რათა თავისუფლება მიანიჭონ თავიანთ ნოქრებს. ამა საგანზე გუბერნატორსაც მიართვეს თხოვნა და დახმარებას სთხოვდენ. ამ კეთილი საქმის ინიციატორები არიან: ი. ქავჭანიძე, თხელიძე და რ. ცოტაძე.

— ამ მოკლე ხანში დასრულდება ნიაღვრისაგან წაღებულ ეგრეთ წოდებულ „ბუქაიჩის“ სამკითხველოს შენობის შეკეთება.

გედი.

—

**ქუთაისი.** ერთ ქუთათურ ვაჭარს განზრახული აქვს გახსნას ქუთაისში ლანძღვა-გინების კურსები. კურსებზე სხვათა შორის ლექტორებათ მოიწვევენ სოფლის ზოგიერთ მამასახლისებს.

— ამ დღეებში სხვის ქალებთან არშიყობისათვის ერთი ქუთათური ვაჭარი ლაზათიანად მიზილა ცოლმა.

— აქაურმა „მამებმა“ დაადგინეს ქუჩები კვირაში მხოლოდ ერთხელ დაწმინდონ და ფარნები სალამოსვე ჩააქრონ, რომ ცოტათი დაამძიმონ ცარიელი კასა.

ხონელი ქმაკი.

---

## უცხო სიტყვების ახსნა.

—

როცა ჩვენ ჟურნალის გამოცემას შევუდექით მაშინვე გავითვალისწინეთ, რომ საჭიროა რაც შეიძლება მდაბიურის და ადვილ გასაგების ენით დაიწეროს ყველა წერილები, რადგან ჩვენი მკითხველები უმეტესათ ქართულ ენაზე არიან განვითარებულნი. გადაწყვეტილება ესე ჩვენი წინდაწინვე ვაცნობეთ ყველა ჩვენ მეცნიერ თანამშრომელთ. მიუხედავათ ასეთ ზომებისა ჩვენი მეცნიერ-ფილოსოფოსნი მაინც ვერ ასცდნენ საერთო სენს და პირველივე წერილები უცხო და გაუგებარ სიტყვებით აჭრელებული გამოგვიგზავნეს. ამისა გამო იძულებული გავხდით შემდეგ საშუალებისთვის მიგვემართა: გადავსწყვიტეთ თვითოეულ ნომრიდან გამოვჭრით უცხო და გაუგებარი სიტყვები (ყველა სიტყვები უცხო არ არის, მაგრამ ზოგიერთი ნამდვილი ქართული სიტყვაც ბევრისთვის გაუგებარია და ნამდვილი მის მნიშვნელობა არ იცის) ყველა ერთად მოვაქციოთ ჟურნალის ბოლოზე და შესაფერი ახსნა-განმარტება მივსცეთ. ხოლო თუ ვსმესთვის ჩვენი ახსნა-განმარტებაც გაუგებარი დარჩეს იმ შემთხვევაში მიმართონ მთვრალ ღვინოს, სულ ერთია ქართველ მსახიობით, მწერალით, უბრალო ინტელიგენტებით თუ სხვა ვინმეთი იქნება მთვრალი და ყოველივე სიტყვის მნიშვნელობას ადვილათ გაიგებს. უმეტესათ, როცა მთვრალი ღვინო სადღეგრძელოებს სვამს სარდაფში. ამ გვარათ ვეცდებით ჩვენ მკითხველებს ყოველ ნომერში შევუსრულოთ დანაპირები და მით გაუადვილოთ განავითაროს თავისი გოგრა.

## ა.

ა — ღრმა მეცნიერება, რომელიც აუცილებლათ უნდა შეისწავლოს ჩვენმა ბაქია თავად-აზნაურებმა, განათლებულ-განვითარებულ-გათვითცნობიერებულ ყოველივე ახლით განმსჭვალულმა „ბარიშნებმა“. მყვირალა „პატრიოტებმა“ და სხვათა, რომ შემდეგ შეეძლოთ იყვირონ ეროვნობის, ენის და სარწმუნოების დაცვაზე.

**აბგა** — მღვდლის (უმეტესათ სოფლის) მუცელი, სადაც ის ილაგებს საზრდოს, არა სულისას, არამედ მუცლისას. ვისაც წარმოუდგენია სოფლელი მღვდელი ის უთუოთ წარმოიდგენს ჯორს, ხოლო ვინც წარმოიდგენს ჯორს ის ადვილათ წარმოიდგენს აბგასაც. „ჯორზე მღვდელი, უკან აბგა“,
ეს სულ ყველამ იცის კარგა,
უამისოთ ის არვარგა.

**აბანო** — არის აბანო კაცის, აბანო ვირის ე. ი. სახედარის. პირველ და მეორე შემთხვევაშიაც კაცი სარგებლობს აბანოთი. თუმცა მეორეს ვირის აბანოს ეძახიან, მაგრამ ვირი იქ თავის დღეში ვერ ეღირსება შესვლას. არ ვიცი რა მოსაზრებით, ხოლო ვირების აბანო მეტია, ვიდრე კაცების თუმცა რიცხვით კაცები მუდამ სჭარბობენ ვირებს. ამიტომ ჩვენს ჟურნალში სადაც შეგხვდეთ სიტყვა „აბანო“ მუდამ იგულისხმეთ „ვირის აბანო“ სადაც უეჭვე-

ლია ყველა მკითხველი იქნებოდა, ხოლო თუ ვინმე არ ყოფილა ვუ-ჩევთ თავ-ს თვალით ნახოს და დასტკბეს მისი სიმშვენიერით.

**აბრუნდი**—ქართული საქმე.

**აბრადინი**—ქართული მსჯელობა.

**აბრაგი**—ქართველი მწერალი.

**აბლაბუდა**—საზოგადო საქმე.

**აგარაკი**—ქარაფშუტა ქალ-ვაჟთა და საბალახოთ გაგზავნილ მეუღლეთა „საკვინტრიცო" (როცა ამ ასოზე ჩავალთ, სიტყვა „კვინტრიცს" მაშინ აგიხსნით) ალაგი.

აგუნა—„გააბდლებულ" გურულის თავი. ასეთ თავებს გურულები ახალ-წელს ურახუნებენ კედელს ან საწნახელს.

**აგადო**—ქართული სალამი, მეტათ ტკბილი და საამო, თანაც მეტათ მწვავე და მწარეც. ასეთ სიტყვას, ჩვენ, ქართველები ვხმარობთ უმეტესათ საზოგადო კრებებზე. როცა რაიმე დიდ საქმეს ვაკეთებთ. ხშირათ ეს სიტყვა ხორცს ისხამს ხან კრებაზედვე და ხან კრების შემდეგ.

**ადგილი**—უსაქმოთა ლუკმა, რომელიც ზოგს მსუქანი შეხვდება და ზოგს მჭლე. ხშირათ ისიც მოხდება, რომ ეს ლუკმა მიღების შემდეგ სუქდება, რისთვისაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა საშუალებას ხმარობენ.

**ალმაფრენა**—ქართველ პოეტთა ძილი, ძილში ცაზევარსკვლავების კრეფა და ზღვის ფსკერზე ბუქნაობა.

**აშარი**—ფრიად ზრდილობიანი და ყოველ მეცნიერებით გატენილი ქალი, სულ ერთია „დამა" იქნება თუ „ბარიშნა".

(შემდეგი იქნება)

—ი.

„მათრახის" ფოსტა

—

**დ. ყვირილა.** ფონ-მოლტს. სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენ [illegible] — „უფარილელი პედაგოგები", მაგრამ ერთმა გარემოებამ შეგვიშალა ხელი. ის ამბავი, რასაც [illegible] შეუფუცხუნებია, ისეთი რამ არის, რომ მაზე ხუმრობის კილოთი რისამე დაწერა ბევრს არ ესიამოვნება. რაც შეეხება თვით „პედაგოგებს" ჩვენის აზრით საჭიროა მათი სურათები და „ფორმულიარნი სპისოკი" მოგვაწოდოთ რაც შეიძლება ჩქარა. სიამოვნებით დავბეჭდავთ.

**ქუთაისი**—სალს. მივიღეთ თქვენი წერილი ქუთაისში „სალიტერატურო დილა-საღამოების" გახშირების, სილოვანის და სხვების შესახებ. თვალისულებს მაგით ვერ გააკვირვებთ. „დილა საღამოს" აქ ყველა კოჭლი და ბრუციანი მართავს, ხოლო „სილოვანს" ყველა იცნობს ვინც ქართული კითხვა იცის რაც საქონელია. წერილს მაინც დავბეჭდავდით მაგრამ ცუდათ არის. გამოგზავნეთ კიდეც. მოგვაწოდე ხშირათ ცხელ-ცხელი ამბები.

**ჭიათურა**—ბაირონიშვილს. ის გარემოება, რომ ჩვენი „მათრახი" ჯერ ხანათ მხოლოდ რვა გვერდი გამოდის შეუძლებელია გრძელ-გრძელი მოთხრობების და ლექსების ბეჭდვა. ყოველ შემთხვევაში თუ მოსახერხებელი იქნა „სილუეტებს" დავბეჭდავთ, ხოლო ლექსების რა მოგახსენოთ. პოეტები ისედაც ბევრი გვყავს და კარგი კი იქნება თქვენც რომ არ დაიწყებდეთ პოეტობას.

ირ. ტ—ძეს. მივიღეთ: „ჩემს ვენერას", „გოდება კატორღელისა" და მრავალი სხვა თქვენი ლექსები, მაგრამ... მაგრამ... დაბეჭდვის მაგიერ... დავხიეთ... რადგან ძალიან კარგი ლექსები იყო.



რუსეთიდან ჩამოსული ექსკურსანტები თფილისის ქუჩებზე.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა" მუხრანის ქ. № 12. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.